საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/07/2025

MES 9 25 0000796474

გადაწყვეტილება

"შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრ ამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №472208 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების და შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 17 ივნისს გამართულ სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "შპს უნივერსიტეტ გეომედის **"ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №472208 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების ნაწილის პირველი პუნქტი განისაზღვროს შემდეგი სახით:
   “1. დაკმაყოფილდეს შპს უნივერსიტეტ გეომედის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 21 თებერვლამდე."
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის №786710 ოქმის №6 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის

სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
შეზამჯდასმული
ელექტრონულად